საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის IV კვარტლის

ანგარიში

ისტორიული დღე პირველი არხისთვის - ახალი შენობის გახსნა

ისტორიული დღე პირველი არხისთვის - 2024 წლის 16 ოქტომბერს ახალი შენობა გაიხსნა.

პირველი არხის ახალი შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა 2020 წლის 30 დეკემბერს, პირველი ტელევიზიის დაბადების დღეს ჩაიდო.

მშენებლობის კომპლექსური პროცესი, საქართველოს პირველ არხთან ერთად, 36-მა ადგილობრივმა ქართულმა კომპანიამ წარმართა.

კომუნიკაციის სფეროში მსგავსი სირთულის ტექნოლოგიური პროექტი ქვეყანაში 60-იანი წლების შემდეგ პირველად განხორციელდა.

სიმბოლურია, რომ 2025 წელს საქართველოში მაუწყებლობიდან 100 წელი შესრულდება, საქართველოს რადიომ, ამიერკავკასიაში პირველმა, 1925 წლიდან დაიწყო მაუწყებლობა.

ბმული

ახალ შენობაში გადასვლის გეგმის ფარგლებში შესრულებული სამუშაო IV კვარტალი

მოცემული კვარტალური ანგარიში ასახავს ინფორმაციას 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში მშენებარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ობიექტზე დაწყებული და განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი კომპანია შპს „დაგი" ახორციელებდა A, B, C, D, E და G ბლოკების სამშენებლო მოპირკეთების შიდა და გარე სამუშაოებს, კონტრაქტორი კომპანია შპს „თბილი სახლი" ახორციელებდა საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოებს. სამუშაოების შესრულებულ მოცულობებში შედიოდა ენერგოსისტემები, უსაფრთხოების და კომუნიკაციების სისტემები. შესრულდა ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, გაზმომარაგების და წყალარინების სისტემების მუდმივი დამაკავშირებელი სამუშაოები. კონტრაქტორმა დაასრულა სხვადასხვა სისტემების მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები და დაიწყო სისტემების გაშვება და შიდა ტესტირება.

ავეჯის მომწოდებელმა კომპანიამ დაასრულა სამონტაჟო სამუშაოები A, B და C ბლოკების ყველა სივრცეში.

პროექტის ავტორმა, დამკვეთთან შეთანხმების თანახმად, წარმოადგინა განახლებული პროექტი კომპლექსის ტერიტორიაზე გასასვლელისა და შესასვლელის მოწყობის შესახებ.

კეთილმოწყობის კონტრაქტორმა, განახლებული პროექტის შესაბამისად, დაასრულა გზების საფარის მოწყობა და ტროტუარების მონტაჟი. დასრულდა სარწყავი სისტემის მონტაჟი, ასფალტის დაგება და გამწვანების ზონების მოწყობა.

სამზარეულოს ტექნოლოგიური ავეჯის კონტრაქტორმა დაასრულა სამონტაჟო და გამართვა-გაშვების სამუშაოები.

ფარდა-ჟალუზების და მინის დასაბური ფირების კონტრაქტორმა დაასრულა ყველა სამუშაო. ასევე, დასრულდა ადმინისტრაციული შენობის გადახურვაზე პერგოლის სამონტაჟო სამუშაოები.

დაიწყო ტექნოლოგიური კომუნიკაციების მოწყობა სატელევიზიო სამაუწყებლო სისტემისთვის სერვერსა და სატელევიზიო გადაცემის ოთახებში.

მომზადდა და ჩატარდა ტენდერი შიდა სივრცეების და გარე ფასადის სისტემების დასუფთავების მომსახურებისთვის.

გაიმართა ტელევიზიის ახალი შენობის კომპლექსის გახსნის საზეიმო ღონისძიება.

გარდა ამისა, მთავარმა კონტრაქტორებმა გააფორმეს კონტრაქტები თავიანთ ქვეკონტრაქტორებთან გარკვეული ტიპის სამუშაოების შესასრულებლად: აწეული იატაკების, რბილი იატაკის, აკუსტიკური კარების, ჭერის, ლიფტების, საიზოლაციო სამუშაოების, დამცავი კონსტრუქციების და შახტების ჰიდროიზოლაციის დამონტაჟებაზე.

საზედამხედველო ორგანიზაციის მხრიდან მომზადდა და წარმოდგენილი იყო ყველა კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის ერთობლივი სამუშაოების გრაფიკი.

შედეგების მიხედვით, თითოეული კონტრაქტორისათვის მომზადდა ძირითადი კონტრაქტის აუცილებელი დამატებითი ხელშეკრულებები.

ტექნოლოგიური ხიდის - მთავარ კორპუსსა და პავილიონებს შორის გადასასვლელის მოწყობაზე მომზადდა დოკუმენტების პაკეტი ტენდერზე წარსადგენად.

მთავარი კორპუსი (ბლოკი A)

- დასრულდა ფასადის სისტემების და მინა-პაკეტის ფანჯრების მონტაჟი;
- კვამლგამწოვი სისტემის ტესტირება დასრულებულია;
- დასრულებულია საკაბელო დამხმარე სისტემების (არხების) მონტაჟი შენობის ყველა სართულზე (ელექტრო და დაბალი დენის სისტემები);
- დასრულდა ხანძარსაწინააღმდეგო კარადების მონტაჟი;
- დასრულდა შიდა საკანალიზაციო მილების და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი;
- კედლის პანელების მეორე ფენა შეიღება და კარები დამონტაჟდა;
- დასრულებულია ფანკოილების მუშაობის ტესტირება;
- გადასასვლელ ადგილებში დამონტაჟდა დეკორატიული წითელი კონსტრუქციის შუშის დამცავი ბარიერები;
- ცენტრალური კიბის მოწყობა დასრულდა;
- დასრულებულია ცენტრალური შესასვლელის, თერმული ფარდების და სლაიდერული კარების განათების მოწყობილობების მონტაჟი და რეგულირება;
- ტექნიკური ოთახების აკუსტიკური კარები დამონტაჟდა;
- დასრულებულია სამუშაოები თვითგასწორებადი ჩამოსხმული იატაკისა და ყველა სახის იატაკის მოპირკეთებაზე (მთავარი კორპუსის დარბაზის გარდა);
- დასრულებულია ჰაერგამტარი მილების შახტების მონტაჟი და ჰერმეტიზაცია;
- ყველა სართულზე დასრულებულია შიდა შუშის ტიხრების მონტაჟი, დასრულებულია სამუშაოები ვიტრაჟების სტიკერების დამონტაჟებაზე;
- ყველა ლიფტის სამონტაჟო და სარეგულაციო სამუშაოები არის დასრულებული;
- აკუსტიკური ოთახებისთვის თაბაშირ-მუყაოს ჭერის მონტაჟი დასრულდა;
- არმსტრონგის ტიპის აკუსტიკური ჭერის ჩარჩოების დამონტაჟებაზე სამუშაოები დასასრულს უახლოვდება (ტექნოლოგიური პროცესის მზადყოფნის შემდეგ დასრულდება);

პავილიონები (ბლოკი B)

- სავალი ნაწილის გადასასვლელების და კიბეების იატაკის ზედაპირის დამონტაჟებაზე სამუშაოები დასრულდა;
- სახურავის მემბრანის დამონტაჟებაზე სამუშაოები დასრულდა (გარდა პავილიონებში კვამლგამწოვი ვენტილატორების ღიობებისა);
- ფასადის სისტემების დამონტაჟებაზე სამუშაოები დასრულებულია;
- აკუსტიკური პანელების მონტაჟი დასრულდა;
- დასრულებულია მილების და ფარსუნკების მონტაჟი სპრინკლერის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემისთვის;
- დასრულებულია სავენტილაციო სისტემის ჰაერგამტარი მილებისთვის სახურავის გადასასვლელებში ღიობების ამოჭრა და გამაგრება;

- ყველა ოთახში დასრულებულია აკუსტიკური კარების მონტაჟი;
- გარე აკუსტიკური არაგაბარიტული კარები დამონტაჟების ეტაპზეა. აღჭურვილობის სერტიფიკატები დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი, ექსპერტი შეისწავლის წარდგენილ მასალებს;
- აკუსტიკის სპეციალისტების მოთხოვნით და პროექტის დამკვეთთან შეთანხმებით, სტუდიებში თაბაშირ-მუყაოს ჭერის მეორე ფენის მონტაჟი დასრულდა;
- დასრულებულია ყველა საინჟინრო კომუნიკაციისა და სისტემის დამონტაჟება და ტესტირება;

არქივი (ბლოკი C)

- ლიფტის სამონტაჟო და ექსპლუატაციის სამუშაოები დასრულებულია;
- სამუშაოები დასრულდა სახურავის ზედა ფენის დამონტაჟებაზე;
- დასრულებულია შენახვისთვის განკუთვნილი სპეციალური თაროს აღჭურვილობის მონტაჟი;
- დასრულებულია პრეციზიური კონდიციონერის მონტაჟი და ტესტირება;
- დასრულებულია სამონტაჟო სამუშაოები გარე კარის ბლოკების და მინა-პაკეტის ფანჯრების დამონტაჟებაზე;

დამხმარე შენობა (ბლოკი D)

- დასრულებულია ყველა ენერგო და ტექნოლოგიური აღჭურვილობის, ტრანსფორმატორისა და ელექტრო პანელის აღჭურვილობის საბოლოო მონტაჟი;
- დიზელის გენერატორის კომპლექტების მონტაჟი და რეგულირება დასრულდა;
- ობიექტზე დასრულდა ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ტუმბოს და წყალმომარაგების ტუმბოების მონტაჟი და ტესტირება;
- სახურავზე ჩილერების სამონტაჟო და რეგულირების სამუშაოები დასრულდა. დასრულებულია გათბობა-გაგრილების სისტემების მილსადენის შეფუთვა;
- დასრულდა ელექტრომომარაგების სისტემებისთვის რკინაბეტონის მიწისქვეშა გვირაბის ყველა საინჟინრო კომუნიკაციის ხაზის მონტაჟი;
- გარე განათების საკაბელო ხაზების ტესტირება დასრულდა;
- დენის კარადების მონტაჟი და ტესტირება დასასრულს უახლოვდება;
- დასრულდა ენერგოტექნიკის ოთახებისა და საქვაბე ოთახის ლითონის კარების და გისოსების მონტაჟი;

ავტოსადგომი (ბლოკი E)

- დასრულებულია ზედა რკინაბეტონის საფარის მონტაჟი
- ზედა სართულზე ავტოსადგომის მარკირება დასრულდა;
- დასასრულს უახლოვდება სამუშაოები რკინაბეტონის პარაპეტული კონსტრუქციების და ავტოსადგომის ღობეების მოწყობაზე (ნულოვან დონეზე);
- დასრულდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისა და განათების მოწყობილობების საკაბელო ხაზების მონტაჟი;

დაცვის ოთახი (ბლოკი G)

- კონტრაქტორმა დაასრულა სამუშაოები დეკორატიული კიბეების, ფასადის კონსტრუქციებისა და კარების მონტაჟზე.

შინაარსობრივი მიმართულებები - პირველი არხი



მნიშვნელოვანი სიახლეები

არჩევნები 2024

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2024 წლის 28 აგვისტოდან წინასაარჩევნო ეთერი დაიწყო. წინასაარჩევნო ეთერის ფარგლებში საზოგადოებას სთავაზობდა მაღალი მედიასტანდარტით შექმნილ ფორმატებს, ამომრჩევლის მაქსიმალური ინფორმირების მიზნით.

ბმული

ვებპორტალი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, პირველმა არხმა შექმნა სპეციალური ვებპორტალი „არჩევნები2024“, რომელზეც თავსდებოდა წინასაარჩევნო პერიოდთან და არჩევნებთან დაკავშირებული ახალი ამბები.

ბმული

დებატები 2024

21 ოქტომბერს, საქართველოს პირველმა არხმა გამართა პოლიტიკური დებატები, სადაც მიწვეული იყო ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, თუმცა, „კოალიციამ ცვლილებებისთვის გვარამია, მელია, გირჩი, დროამ“ და „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. დებატები უზრუნველყოფილი იყო სურდო თარგმანით. ხელმისაწვდომი იყო აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ასევე, გადაიცა საქართველოს რადიოს ეთერით.

ბმული

ეუთო ოდირის დასკვნა

ეუთო/ოდირი - “საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა პოლიტიკური პარტია უპირატესად პოზიტიური ან ნეიტრალური კუთხით წარმოაჩინა”.

ბმული

ონლაინმედია

პირველი არხის კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკტოკი, იუთუბი). პირველი არხის მთავარ გვერდზე, ამ პერიოდის განმავლობაში, ვიდეოების საერთო ნახვაა - 31,6 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 3 მილიონი; გვერდს დაემატა 28,400 გამომწერი.

პირველი არხი სპორტი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 8,1 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 877,500.

გვერდს დაემატა 7,600 გამომწერი.

პირველი არხი NEWS
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 3,8 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 112,300.

გვერდს დაემატა 10,800 გამომწერი.

1tv.ge სტატისტიკა

	IV კვარტალი 2024	III კვარტალი 2024
ნახვა	16,000,000	14,000,000
საშუალოდ დღეში ნახვა	154,000	152,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	125,000	668,000
	16 ნოემბერი 2024	10 სექტემბერი 2024

იუთუბარხების სტატისტიკა

	IV კვარტალი 2024	III კვარტალი 2024
ნახვა	33,400,000	31,500,000
საშუალოდ დღეში ნახვა	363,000	342,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	1,000,000	955,000
	19 ნოემბერი 2024	10 სექტემბერი 2024

TikTok
პირველი არხის ტიკ-ტოკ გვერდს 2024 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით ჰყავს 103 000 გამომწერი.

Instagram
პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს 2024 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით ჰყავს 61 000 გამომწერი.

იურიდიული სამსახურის ანგარიში

წარმოგიდგენთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" იურიდიული სამსახურის 2024 წლის მე-4 კვარტლის ანგარიშს.

1. ხელშეკრულებების შესახებ

2024 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 181 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2024 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "სტუდია ფონოგრაფი"**	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში. - სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი
2	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
3	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	- მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
4	**მარიამ სონიშვილი**	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
5	**თამთა ჯანაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6	**სოფიო ზედელაშვილი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
7	**არაზ მაშოვი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
8	**ნიკოლოზ ცერცვაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, კომპენსაციის გადახდა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
9	**ირაკლი დობორჯგინიძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2024 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "პრაიმ თაიმი"**	24 633 81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება	- საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. - ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა.
2	**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო**	ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა	- სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, ამ ეტაპამდე, უცნობია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის საჩივართან დაკავშირებით.

2.3

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ:</u> შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს 18,05,2010წ. განჩინებით), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ 1 403 23 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის 14 318 01 ლარის დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15,11,2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318 01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 29 აპრილს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო.

<u>3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ</u>

2024 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" განცხადება არ შემოსულა.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2024 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას. 2024 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის IV კვარტლის ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2024 წლის IV კვარტლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 21,489,458 ლარს.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 2024 წლის IV კვარტლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 29,060,278 ლარი. აქედან, 21,503,100 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო 7,557,178 ლარი კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2024 წლის IV კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეული ჯამური საკასო ხარჯი შეადგენდა 43,463,541 ლარს.

2024 წლის IV კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	187,668	204,203	(16,535)
საერთო და ადმინისტრაციული	1,853,839	2,050,844	(197,005)
ახალი და მიმდინარე ამბები	3,403,125	3,181,209	221,917
მედია	4,888,236	3,645,235	1,243,002
ტექნიკური ხარჯი	2,985,675	3,290,421	(304,746)
ონლინ მედია	416,056	242,907	173,149
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	983,919	625,000	358,918
საინვესტიციო ხარჯი	1,596,262	26,156,064	(24,559,803)
ფინანსური ხარჯი	5,174,678	4,067,658	1,107,021
მთლიანი ბიუჯეტი	**21,489,458**	**43,463,541**	**(21,974,083)**

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის IV კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 21 მლნ 974 ათასი ლარით მეტი, რაც ძირითადად გამოწვეულია საინვესტიციო ხარჯებით, კონკრეტულად კი ახალი შენობის მშენებლობის თანხებით. თუმცა, წლიურ ჭრილში, დაგეგმილი ხარჯების გადაჭარბებას ადგილი არ ჰქონია.

ბიუჯეტის შესრულება, 2024 IV კვ.



შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის IV კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 8,564,004 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7,995,682 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 568,322 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

2024 წლის IV კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	187,668	204,203	(16,535)
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი	773,806	826,836	(53,030)
ახალი და მიმდინარე ამბები	2,843,285	2,781,596	61,688
მედია	2,417,556	2,044,471	373,085
ტექნიკა და ტექნოლოგიები	2,025,634	1,927,840	97,793
ონლაინ მედია	291,056	210,735	80,321
სხვა ფინანსური ხარჯი	25,000	-	25,000
ჯამი:	**8,564,004**	**7,995,682**	**568,322**

შრომის ანაზღაურება



მივლინება

2024 წლის IV კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 326,290 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 190,012 ლარს, რაც დაგეგმილთან შედარებით 136 ათასი ლარით ნაკლებია.

ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

	გეგმა	ფაქტი	სხვაობა
ადმინისტრაცია და მენეჯმენტი	32,243	18,882	13,361
ახალი და მიმდინარე ამბები	203,170	58,520	144,650
მედია	89,627	109,741	(20,114)
ტექნიკა და ტექნოლოგიები	1,250	2,870	(1,620)
ჯამი:	**326,290**	**190,012**	**136,278**

მივლინება IV კვ. 2024



საინვესტიციო ხარჯები:

2024 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 26,156,064 ლარის კაპიტალური ხარჯი:

ახალი შენობის მშენებლობა	**17,071,501**
ტექნიკური აღჭურვა	**7,139,681**
არამატერიალური აქტივი	**778,537**
სხვა საინვესტიციო ხარჯი (სტუდიის დეკორაცია)	**1,166,345**

ფინანსური ხარჯები:

2024 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 4,067,658 ლარის კაპიტალური ხარჯი:

საგადასახადო გადასახდელები	**400,853**
სესხის მომსახურება	**3,459,274**
სხვა ფინანსური ხარჯი	**207,530**

კომერციული შემოსავლები

2024 წლის IV კვარტლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 7,557,178 ლარი.

2024 წლის IV კვარტლის კომერციული შემოსავლები

სახელმწიფო ასიგნება	**21,503,100**
კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	**274,610**
რეკლამიდან მიღებული შემოსავალი	71,834
სპონსორობა	182,791
პროდაქტ ფლეისმენტი	18,750
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	20
საარქივო მომსახურება	1,215
სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი	**7,282,568**
ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	5,761,350
დეპოზიტის პროცენტი	1,470,787
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	50,431
საკუთარი სახსრებით მიღებული ფულადი ნაკადები	**7,557,178**
სულ საკასო ფულადი ნაკადები (სახლმწ. ასიგნებით)	**29,060,278**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2024 წლის IV კვარტლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

დანართი N1

ანგარიში	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ჯამი IV კვ.
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	**4,283,883**	**3,876,104**	**5,079,833**	**13,239,819**
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	**70,970**	**66,617**	**66,617**	**204,203**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**688,872**	**418,948**	**943,024**	**2,050,844**
შრომის ანაზღაურება	282,904	268,460	275,473	826,836
მივლინება	11,685	5,847	1,350	18,882
მარკეტინგი	19,670	3,514	48,763	71,947
კომუნალური ხარჯები	165,895	69,370	220,623	455,889
ავტოპარკი	42,725	38,913	65,176	146,815
საოფისე ხარჯი	114,981	31,113	331,507	477,601
წარმომადგენლობით ხარჯი	51,012	1,731	132	52,874
ახალი და მიმდინარე ამბები	**1,089,444**	**973,496**	**1,118,268**	**3,181,209**
შრომის ანაზღაურება	869,747	882,226	1,029,624	2,781,596
მივლინება	15,117	20,685	22,718	58,520
უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება	132,410	-	1,282	133,693
ბიზნეს პარტნიორი	72,170	70,586	64,644	207,400
მედია	**993,904**	**1,393,969**	**1,257,362**	**3,645,235**
შრომის ანაზღაურება მივლინება	659,826	683,851	700,794	2,044,471
მივლინება	50,636	59,075	30	109,741
გარეწარმოება	47,448	364,376	252,501	664,325
მხატვრული ტელესერიალები	133,000	114,000	-	247,000
შესყიდვები მედია	102,994	172,667	304,037	579,698
ტექნიკური ხარჯი	**934,839**	**907,094**	**1,448,489**	**3,290,421**
შრომის ანაზღაურება	624,224	645,612	658,005	1,927,840
მივლინება	2,870	-	-	2,870
ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები	184,786	196,543	367,848	749,178
სხვა არასაინვესტიციო ხარჯი	122,958	64,939	422,636	610,533

ონლაინ მედია	**76,682**	**91,370**	**74,855**	**242,907**
შრომის ანაზღაურება	67,177	70,170	73,388	210,735
ონლაინ მედიის შესყიდვები	9,505	21,200	1,467	32,172
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	**429,173**	**24,610**	**171,217**	**625,000**
ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი	156,207	-	-	156,207
სატელევიზიო ფორმატები	15,158	-	-	15,158
სიგნალები და სპორტული სააგენტოები	256,307	18,135	171,217	445,660
სპორტული ლიცენზიები	-	6,475	-	6,475
ქართული ფილმები	1,500	-	-	1,500

საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	**12,283,702**	**9,616,913**	**4,255,449**	**26,156,064**
ახალი შენობის მშენებლობა	**5,611,875**	**8,854,292**	**2,605,334**	**17,071,501**
მშენებლობის ხარჯები	5,611,875	8,223,469	1,677,597	15,512,940
ზედამხედველობის ხარჯი	-	351,308	136,379	487,687
ინვენტარი/ავეჯი	-	279,516	791,358	1,070,874
ტექნიკური აღჭურვა	**5,383,801**	**693,754**	**1,062,126**	**7,139,681**
სტუდიური აპარატურა	5,383,801	693,754	146,194	6,223,749
სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა	-	-	915,932	915,932
არამატერიალური აქტივი	441,180	68,867	268,491	778,537
მექანიკური პროდუქცია	441,180	68,867	268,491	778,537
სხვა საინვესტიციო ხარჯი	846,847	-	319,499	1,166,345
სტუდიის დეკორაცია	846,847	-	319,499	1,166,345
ფინანსური ხარჯი	**138,363**	**375,402**	**3,553,893**	**4,067,658**
გადასახდელები	**100,853**	**175,000**	**125,000**	**400,853**
დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	95,000	175,000	125,000	395,000
მიწის გადასახადი	5,853	-	-	5,853
სესხის მომსახურება	-	189,902	3,269,372	3,459,274

სხვა ფინანსური ხარჯი	**37,509**	**10,500**	**159,521**	**207,530**
სახელმწიფო ბაჟი	-	10,500	-	10,500
საავტორო უფლებები	37,509	-	159,521	197,030
სულ ხარჯი	**16,705,948**	**13,868,419**	**12,889,175**	**43,463,541**